ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1425244

ნომერი: AR1242800

თარიღი : 07.08.2014

გაცემის თარიღი : 07.08.2014

გაცნობის თარიღი : 05.12.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბადრი მიქაია პ/ნ 01023006070
- თბილისი ცოდნისკარის ქ. N 18

ნომენკლატურა :

- საჩუქარი პროექტები
- შერჩეული პროექტის მშენებლობის შესაძლებლობის განსაზღვრა მიწის ნაკვეთზე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1242800 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ბელიაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით #01.13.03.010.001–ში ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 01/1114 (23.05.2011) ბრძანებით შეთანხმებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შესაძლებლობის განსაზღვრას, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საპროექტო ტერიტორიაზე სამსახურის მიერ 2010 წელს გაცემული სამშენებლო დოკუმენტაციის საფუძველზე უკვე განხორციელებულია საგამოფენო პავილიონის მშენებლობა. აღნიშნულის გათვალისწინებით ნაკვეთის დარჩენილ ნაწილზე ქალაქთმშენებლობითი თვალსაზრისით ვერ განხოეციელდება შერჩეული პროექტით კიდევ ერთი შენობის განთავსება. მითუმეტეს, რომ საპროექტო ტერიტორიის გაყოლებაზე ფიქსირდება მხოლოდ საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები.

ასევე გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საპროექტო ტერიტორიაზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2). წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას, რომელიც მდებარეობს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ.: პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი), ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს.

მითითებულ ფუნქციურ ზონაში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განსათავსებლად საკითხი უნდა განიხილოს „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის“ სხდომამ. რასთან დაკავშირებით საკითხის განმეორებით დაყენების შემთხვევაში უნდა დააზუსტოთ ინფორმაცია, თუ რა იგეგმება უკვე აშენებულ შენობასთან მიმართებაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge